სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: სამედიცინო რადიოლოგია და ენდოსკოპია
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ფრიდონ თოდუა

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

a) პროგრამის მიზანი:

პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე რადიოლოგიის და ენდოსკოპიის ძირითადი მიმართულებების, აქტუალური საკითხების შესწავლას, თანამედროვე მიმართულებების განვითარებასა და მაღალპროფესიული ვიწრო დარგობრივი სპეციალისტის მომზადებას.

b) პროგრამის შედეგი

პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში დოქტორანტები მიიღებენ მაღალი ხარისხის ცოდნასა და კველიფიკაციას. დოქტორანტი სრულყოფილად დაეუფლება რადიოლოგიის შემადგენელი თითოეული კვლევის მეთოდის შესაძლებლობებს სხვადასხვა ნოზოლოგიების დიაგნოსტიკაში. მეცნიერულად დასაბუთებული და დამუშავებული იქნება დაავადებათა კვლევის ალგორითმი. ფაქტებზე დაფუძნებული კვლევების საფუძველზე შემუშავდება დაავადებათა სემიოტიკა თითოეული კვლევის მეთოდისათვის. ყოველივე დაავადებათა ადრეული გამოვლინების წინა პირობა იქნება. ყოველი სემესტრის ბოლოს ჩატარდება კოლოქვიუმები სადაც დოქტორანტი მოხსენებით წარდგება სადისერტაციო ნაშრომის მიმდინარეობის შესახებ.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

დოქტურანტურის კურსდამთავრებულებს ექნებათ საშუალება სამკურნალო, სამეცნიერო და სასწავლო პროცესებში დასაქმებისა.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

სასწავლო კომპონენტი

დოქტურანტურაში სასწავლო კომპონენტს ეთმობა 50 კრედიტი.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ ტექნიკური ბაზა იქნება კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიაგნოსტიკური მედიცინის დეპარტამენტის ბაზას. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აღჭურვილია თანამედროვე მაღალინფორმატიული სადიაგნოსტიკო აპარატურით. დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სადიაგნოსტიკო აპარატურით და ბიბლიოთეკით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესურს-ცენტრით და ბიბლიოთეკით.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ორი დოქტორანტის მიღება.